სეზონის ფინიშთან

“შრომითი რეზერვები” ლენინგრადი – ტროფიმოვი, შულდიშოვი, შიშკოვი, დემიდოვი, ბოგომოლოვი, ვასილევი, გავრილინი, კოლობოვი, ტენიაგინი, ივანოვი, ცვეტკოვი.

“დინამო” თბილისი – მარღანია, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ხასაია, გაგნიძე, კალოევი, ჭკუასელი, მესხი.

მსაჯი: საკავშირო კატეგორიის მსაჯი ვ. არხიპოვი (მოსკოვი).

ბულგარეთში ჩატარებული საერთაშორისო შეხვედრების შემდეგ თბილისის “დინამომ” თავის სტადიონზე გუშინ ჩაატარა მორიგი კალენდარული მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. მათ წინააღმდეგ თამაშობდა გათამაშების აუტსაიდერი ლენინგრადის “შრომით რეზერვები”.

იმის მიუხედავად, რომ ამ შეხვედრას ლენინგრადელებისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ისინი მოედანზე გამარჯვების სრული რწმენით გამოვიდნენ. შეხვედრის მეორე წუთზე საჯარიმო მოედანზე ლენინგრადელმა მცველმა ხელით ითამაშა და სტუმრები დაჯარიმდნენ 11–მეტრიანი დარტყმით, რაც კარგად გამოიყენა ხასაიამ და ანგარიში გახსნა. პირველი მარცხის მიუხედავად ლენინგრადელებმა მიიღეს მასპინძელთა სწრაფი ტემპი და მძაფრ ბრძოლაში ჩაებნენ, ისინი ყოველ რგოლში, მოედნის ყოველ ადგილას ცდილობდნენ ბურთის დაუფლებას, თამაშში გარდატეხის შეტანას, რასაც ერთხანს მიაღწიეს კიდეც და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს თბილისელთა კართან. თამაში გათანაბრდა. მე-12 წუთზე დინამოელებმა გარღვევაზე გაიყვანეს კალოევი, რომელიც მეკარის პირისპირ დარჩა, მაგრამ ანგარიშის გაზრდის ხელსაყრელი შემთხვევა ვერ გამოიყენა.

სტუმრების ერთ–ერთი შეტევის დროს თბილისელმა მცველებმა ბურთი მიაწოდეს ჭკუასელს, რომელმაც არ დააყოვნა და შეუჩერებლად გადააწოდა თავისუფალ ადგილზე მყოფ კალოევს. იგი ისევ მეკარის პირისპირ აღმოჩნდა. ამჯერად მან შეძლო მეკარის მოტყუება და ანგარიში 2:0 გახდა. ეს მოხდა შეხვედრის 38–ე წუთზე.

მეორე ნახევარი კვლავ ლენინგრადელთა იერიშით დაიწყო. 49–ე წუთზე მარღანიამ ორჯერ ზედიზედ იხსნა საკუთარი კარი აშკარა გოლისაგან.

61–ე წუთზე თბილისელებს შეეძლოთ მესამედ აეღოთ მოწინააღმდეგის კარი, მაგრამ პირისპირ გასულმა ჭკუასელმა დააგვიანა, მიუსწრეს დამცველებმა და შეტევა მოიგერიეს.

საპასუხო ბურთის გატანის ყველაზე რეალური შესაძლებლობა ლენინგრადელებს ჰქონდათ 66–ე წუთზე, როცა შეტევით გატაცებული თბილისელები მოწინააღმდეგის ნახევარზე მოგროვდნენ. შიშოვმა ძლიერი დარტყმით ბურთი მეორე ნახევარზე გადმოგზავნა. აქ თბილისელთა ორი მცველის წინაშე აღმოჩნდა ხუთი მოწინააღმდეგე, მაგრამ ბოგომოლოვი აჩქარდა, ბურთი კარს უკან გაგზავნა.

კიდევ ერთი ბურთის გატანის შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს თბილისელებმა 74–ე წუთზე, როცა მარჯვნიდან ხასაიას მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია. კალოევს არავინ უშლიდა ხელს დამშვიდებით გაეზარდა ანგარიში, მაგრამ მან კვლავ მეკარეს “მიაწოდა” ბურთი. თამაშის მიწურულში ლენინგრადელებმა შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა. შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

დუბლიორთა მატჩი დამთავრდა ფრედ – 0:0.

ო. ივდოშვილი.
“ლელო”, 17 ოქტომბერი, 1956 წ.